

ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი 2021-2022 სასწავლო წლისათვის

III თავი

სწავლის საფასურის გადახდა - ადმინისტრაციული რეგისტრაცია

(განახლებული რედაქცია - თებერვალი, 2022 წ)

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან (ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან) დაკავშირებული რეგულაცია მოცემულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სწავლის საფასურის გადახდის წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 3).

ბსუ-ს სტუდენტი ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის წლიური საფასურის ნახევარი (გარდა იმ სტუდენტისა, რომელმაც მოიპოვა 100%-იანი სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი ან პროგრამული დაფინანსება ან სოციალური დახმარება/გრანტი)

„სწავლის საფასურის გადახდის წესის“ თანახმად, შესაბამისი სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის გათვალისწინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის გადახდის ვადები (მათ შორის ნაწილ-ნაწილ, ეტაპებად გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა).

2021-2022 სასწავლო წლისათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები დადგენილია შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

1. „2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 06 სექტემბრის N01-02/149 ბრძანება;
2. „ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 ოქტომბრის N01-02/167 ბრძანება.

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 06 სექტემბრის N01-02/149 ბრძანებით 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის საფასურის გადახდასათვის განისაზღვრა შემდეგი ვადები:

- პირველ ეტაპზე 40 % - 2021 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით;
- მე-2 ეტაპზე 30% - 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით;
- მე-3 ეტაპზე 30% - 2021 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N36 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 29) მიხედვით, ბსუ-ში უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვების) შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, სწავლის წლიური საფასური სტუდენტს განესაზღვრება შესაბამის პროგრამაზე საქართველოს მოქალაქისათვის განსაზღვრული ოდენობით, **შემდეგნაირად:**

- ა) **მიმდინარე სემესტრიდან** - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა **1 ნოემბრამდე** და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია **ან** თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა **1 აპრილამდე** და **გაზაფხულის სემესტრში** წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;
- ბ) **მომდევნო სემესტრიდან** - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა **1 ნოემბრიდან** და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია **ან** თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა **1 აპრილიდან** და **გაზაფხულის სემესტრში** წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

სამართლებრივი აქტები აკადემიურ და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების, ასევე სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის შესახებ, ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - bsu@edu.ge (ველში - „სწავლა“, „აკადემიური კალენდარი“, სტუდენტის გზამკვლევი“, ხოლო აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ რექტორის ბრძანება, ასევე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანება - ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu@edu.ge (ველში - რექტორის ბრძანებები), ასევე სტუდენტთა ინფორმირების მიზნით ვრცელდება ბსუ-ს პორტალის მეშვეობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ან/და ეცნობება ინდივიდუალურად შესაბამის სტუდენტს.